№ 125
სამშაბათი, 13 ივნისი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 125
სამშაბათი, 13 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დაბა ახალ-სენაკის წარმომადგენელნი

ამით აცხადებენ ყველას საყურადღებოდ, რომ მთავრობის ნებართვით, დ. ახალ-სენაკში ყოველ წლობით ოცდა-ორ ივნისიდგან, ერთის კვირის განმავლობაში მოხდება ხოლმე

ბაზრობა

ყოველნაირის ნაწარმოებისა და პირუტყვთა. (1—130—1).

იყიდება კუკიის გაჯი.

ეს გაჯი ყველა სხვა გაჯსა სჯობია სითეთრით, სიმაგრით და სისუფთავითაც.

ბევრმა არ იცის ეს და ყიდულობს სხვა გაჯს, რომელიც რამდენისამე კაპეიკით უფრო იაფადა ჰღირს. რათა შემდეგში მუშტარი არ მოტყუვდეს, იმ პოვოსკებს, რომლითაც კუკიის გაჯსა ჰყიდიან, ქესტი ექმნება მიკრული ამნაირის წარწერით: **„კუკიის გაჯი“.**

ვისაც ჰსურს ეს გაჯი შეიძინოს, უნდა მიჰმართოს მეიჯარადრეებს თოფაძესა და ჩხეიძეს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიასთან, ნადიროვისა და დოლუხანოვის მამულში. მოიჯარადრეებს 15 ცხენი ჰყავთ გაჯის საზიდავად. (15—128—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობის.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 საათ.

მ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ხაგშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ბინა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

ქუთაისის ჭაცვიცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ქურქლეულობისა და ავეჯეულობის
სავაჭრო მაღაზია
ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—17)

ახალი ამბავი

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ბრძანებით, იმის რწმუნებულის ი. ს. მედვედევის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს იმ მიზეზებისა გამოკვლევა, რა მიზეზებიც ხელს უშლის ყარაიაზის იმ ადგილებში, სადაც მარიინის წყლის არხია გაყვანილი, სოფლის მეურნეობის განვითარებას, უკვე დაამთავრა მუშაობა და თავის მოხსენებას ამ ახლო მომავალში მეურნეობის მინისტრს წარუდგენს. კომისიის აზრით საჭიროა: 1, ხელი შეუწყოს ყარაიაზში სოფლის მეურნეთა დასახლებას; 2, მიიზიდონ კაპიტალისტნი სოფლის მეურნეობის მრეწველობის განსავითარებლად; ამისათვის კაპიტალისტებს სხვა და სხვა ლგოტები უნდა მიენიჭოთ; 3, იშუამდგომლონ გზათა მინისტრის წინაშე გაადვილებულ იქმნას ადგილობრივ სოფლის ნაწარმოებთა გამოტანა, რისთვისაც რკინის გზაზედ განსაკუთრებული ვაგონები უნდა იქმნას დანიშნული და სხვანი.

⁂ დღეს, 13 ივნისს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც მოილაპარაკებენ იმის შესახებ, თუ როგორ დაუხვდნენ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგს მისს ტფილისში ჩამოსვლის დროს. კრება აგრეთვე განიხილავს, სხვათა შორის, სამეურნეო საზოგადოებასთან სასტატისტიკო ბიუროს დაარსების შესახებ კომისიისაგან წარდგენილს პროექტს.

ფელეტონი

სოკო საჭმელი და სოკო შხამიანი.

„ქამა სოკო და ნიყვაო
ბატონის კარსა იყვაო,
ნიყვა შინ შეიყვანესო,
ქამა ისევ იქ იყვაო“.
(ხალხური)

I

ჩვენში, რა თქმა უნდა, ძლიერ ბევრგვარი სოკო მოდის მინდორსა და ტყეში. პატივცემული რაფ. ერისთავი თავისს ლექსიკონში სამოცამდე სოკოს ასახელებს. ამათში ზოგი საჭმელად იხმარება, ზოგი წამლად, ზოგი შხამიანია და ზოგიც ადამიანისთვის უმნიშვნელოა. როგორც ზემოდ მოყვანილ ხალხის თქმულებიდგან სჩანს, სოკოთა შორის ქართველთაგან დიდად პატივცემულნი არიან ქამა და ნიყვა.

ნიყვას მეფის სოკოს უწოდებენ, ქამაზედ უფრო გემრიელია, მოდის მარიამობისთვესა და ენკენისთვეში, უფრო ვაკე ტყე უყვარს და მსუქან ადგილს არჩევს, მეტადრე თუ წვიმიანი ზაფხული დაუდგა ძალიან ჰხარობს. ნიყვა სოკო მიწიდგან რომ თავს ამოჰყოფს, ჯერ თეთრად ამობურთდება, მეორე დღეს სქდება, ჯამივით მრგვლად გადიშლება და გულში ყვითელ თავიანი სოკო გამოჩნდება ხოლმე. ძირს მოსტეხავ (თეთრი აქვს), შიგ მარილს ჩაჰყრი, ხახვს ჩააჭრი და ნაკვერჩხალზედ შესწვავ. როცა იწვის, წყალს ძლიერ ბევრს უშვებს.

საზოგადოდ ყველა სოკო ძალიან ბევრს წყალს შეიცავს. მარგევიჩის გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ახალ მოწყვეტილი სოკო $9/_{10}$ წონა წყალს შეიცავს, ასი გირვანქა სოკო რომ კარგა გავახმოთ, 10—15 გირვანქა გამხმარი სოკო ძლივს დადგება. ამ გამოკვლევის შემდეგ მეცნიერებმა ეჭვი შეიტანეს, სოკოს აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა ადამიანის კვებისათვისაო. მეტადრე მერნერი (Mörner) საბუთიანად ამტკიცებს, რომ სოკოს ადამიანის კვებისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც, მაგალითად, კომბოსტოს ან სხვა რამ მწვანილსაო. ახლად მოწყვეტილი სოკოსი კიდევ სწამთ რამე, ხოლო გამხმარი და წნილად ჩადებული სოკო უფრო ჰკარგავს თავისს ნოყიერებასაო. კენიგი და უფელმანი (König Uffelmann) ხომ სრულიად უარ-ჰყოფენ სოკოს მნიშვნელობას—სოკო გემოვნებას თუ აკმაყოფილებს, თორემ ადამიანის გაძღომა მას არ შეუძლიანო.

თუმცა ამ აზრისანი არიან მეცნიერნი, მაგრამ ცხოვრებაში სულ სხვას ვხედავთ. ჩვენში ხალხი იმდენს არა სჭამს სოკოს, რამდენსაც რუსეთში. იშვიათი ოჯახია, რომ რამდენიმე ქილა სოკოს წნილი არ ჰქონდეს სადიდ-მარხვოდ შენახული. ტყით მდიდარ მაზრებში-კი, სადაც დიდძალი სოკო იცის, ხალხი ათას ფუთობით ახმობს სოკოს და ბაზარიც დიდი აქვს. სოკოს კრეფა გოგობიჭებისა და ბებრების ხელობაა, ახმობენ და ჰყიდიან. ზოგ წელიწადს თითო ოჯახს 200—300 მანეთი რჩება შრომის ფასად. მთელს რუსეთში სოკოდგან ხალხს ნახევარი მილიონი მანეთი გამორჩენა აქვს. ზოგი სოფელი სახელმწიფო ხარჯს (ფოსტის ფულს) სოკოს კრეფით იშორებს.

რუსეთში და საზოგადოდ ევროპაში დიდი ფასი და ბაზარი აქვს ქამა სოკოს (Шампиньонъ Agaricus campestris), ხოლო თირკმელა სოკოს (трюфель) ინგლისში გირვანქას ორ მანეთამდე ჰყიდიან. თირკმელა სოკო ვაკე ადგილებში იცის, მიწაში დამალულია, თვალით ძნელად სჩანს. ღორებს ძლიერ უყვართ და ადვილადაც ჰპოულობენ და სთხრიან დინგით. კაცი ღორის მსუნაგობით სარგებლობს და ან სულ ღორს ათხრევინებს, ან ღორის ნაპოვნს თითონ სთხრის და ამ ძვირფასის სოკოთი ცოლ-შვილს ინახავს.

ამ გვარად მეცნიერება და ცხოვრება სოკოს საქმეში ვერ შეთანხმებულან, რადგან ფაქტი ფაქტად რჩება, რომ სოკოს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, ფული შემოაქვს და თუ მაგრე რიგად არ აძღობს, მწვანილად, პურთან შესატანებლად ხომ გამოდგება, სხვა არა იყოს-რა, პირის-წყალს ხომ მოიმადლიერებენ.

II

ახლა თავი და თავი საქმე ის არის, სოკოობა დადგება თუ არა, ძნელად მოხდება, რომ ერთი ან ორი კაცი სოკოს შხამმა არ იმსხვერპლოს. მიზეზი, რასაკვირველია, ისაა, რო ცნობა უნდა, რომელია მათში საჭმელი და რომელი უვარგისი, ანუ შხამიანი. „მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტიაო“, ხალხი მოწამლვის შიშით სოკოს ჭამას თავს არ დაანებებს, მხოლოდ ცოდნაა საჭირო! შემოდგომა ისე როგორ გაივლის, რო თხლის ქვევრში არავინ დაირჩოს, მაგრამ ამით თხლის შეჭამადის ჭამას მაინც არ იშლიან. ბარალეთში ერთს პურის ორმოში ოთხი ვაჟკაცი საათის განმავლობაში დაირჩო. რასაკვირველია, ყველა ეს უბედურება უცოდინარობის მსხვერპლია. ხალხმა არ იცის, რომ ახლად პირ-მოხდილი პურის ორმო ნახევარი დღე მაინც უნდა პირ ღია იყოს, ჰაერი ამოიწმინდოს და მერე კაცი ჩავიდეს; თხლის ქვევრს სარქველს რომ ახდიან, ერთი საათი მაინც უნდა დაიცადონ ჰაერი გაიწმინდოს და მერე ისე ჩაჰყონ თავი თხლის ამოსაღებად. სოკოს საქმეც ამ გვარადვეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ რა ვიცით, რომ ხალხს რა ვასწავლოთ, სოკოს გამოცნობა ხალხმა უფრო იცის თავისის გამოცდილებით. ეს უფრო ითქმის ჩვენს სოკოებზედ, რადგან ჯერ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე საქართველოს საკოებს მეცნიერულად გამოიკვლევენ. გამოკვლევა-კი მით უფრო საჭიროა, რომ სოკო ჩვენს ნიადაგზედ რო უშხამო იყოს, გერმანიაში, მაგალითად, იგივე სოკო შხამიანია. ჰავასა და ნიადაგს ასეთი მძლავრი მნიშვნელობა აქვს.

როგორც რაფ. ერისთვის ლექსიკონიდგან სჩანს, ხალხმა სამოცამდე გვარი სოკო იცის. ლექსიკონში თუმცა

⁂ როგორც გვატყობინებენ, ახალ-სენაკში ინტელიგენტთა მეთაურობით შემდგარა აბრეშუმის პარკის გამსაღებელი ამხანაგობა, რომელსაც ჯერ-ჯერობით 3,000 მანეთამდე ძირითადი თანხა შეუდგენია. ამხანაგობას უმთავრეს მიზნად ისა აქვს, რომ აბრეშუმის მწარმოებელთ დაეხმაროს და დაიხსნას სოფლის მყვლეფავ-ვაჭრებისაგან, რომელნიც სულ მცირე ფასში ხალხის შრომა-ტანჯვით შეძენილს სიმდიდრეს ხელთ-იგდებენ ხოლმე. ამას გარდა ხშირად ვაჭრები ხალხს წონაშიაც ატყუებენ და ფუთზედ 13—15 გირვანქამდე მეტს იღებენ. ამხანაგობას უნდა ამ ვაჭრებს კონკურენცია გაუწიოს და პარკის ფასი ასწიოს ხოლმე.

⁂ იმპერატორის ალექსანდრე I-ს საგზაო ინჟენერთა ინსტიტუტში პეტერბურგში ამ ახალ სამოსწავლო წელს პირველ კურსზედ შემსვლელთათვის 100 თავისუფალი ადგილია, მეორეზედ 10 და მესამეზედ—5. ვინც საკონკურსო ეგზამენების დაჭერის ნება-რთვას მიიღებს, 15 აგვისტოსათვის უნდა გამოცხადდეს.

⁂ ფინანსთა სამინისტროს მიერ ახლად შემუშავებულის წესით, სახალხო სიფხიზლის საზოგადოების მზრუნველთ უფლება თურმე ეძლევათ ოქმი შეუყენონ, თუ ვინმე მთვრალი გაჰბედავს საზოგადო შეკრებულებაში მისვლას.

⁂ მთავრობას გარდაუწყვეტია, სამასწავლებლო სემინარიებსა და სასულიერო საშუალო სასწავლებლებში სოფლის მეურნეობის სწავლება შემოიღოს.

⁂ ფირმის „შუკკერტის“ წარმომადგენელმა უარი განაცხადა და ხელი არ მოაწერა ქ. ტფილისის გამგეობის მიერ შემუშავებულ ხელ-შეკრულებას ქ. ტფილისის განათების შესახებ. ამის გამო შაბათს, 10 ივნისს, გამგეობამ მეორე ფირმის „გელიოსის“ წარმომადგენელი მიიწვია, რომელმაც არა თუ მოაწერა ხელ-შეკრულებას, არამედ ზოგიერთი, ქალაქისათვის სასარგებლო, მუხლიც ჩაუმატა.

⁂ ქალაქის სასწავლებელთა კომისიაში ხუთშაბათს, 15 ივნისს, მოხდება არჩევნები ახალ მასწავლებელ ქალთა, ქალაქის სასწავლებლისათვის, მათ შორის ხარფუხის სკოლის გამგისაც. სულ 14 ქალი თხოულობს მასწავლებლობის ადგილს.

⁂ რადგანაც შაბათს, 10 ივნისს, არ მოხდა შეერთებული კრება გამგეობისა და კომისიისა, ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ მოხსენება საბჭოს 12 ივნისის კრებას ვერ წარედგინა განსახილველად. ეს მოხსენება ორშაბათს, 19 ივნისს წარედგინება.

⁂ ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ექიმი რ. დ. მაჭავარიანი უკვე დაბრუნდა თიონეთისა, სიღნაღისა და თელავის მაზრიდგან, სადაც იგი ავადმყოფთა თავშესაფარების სარევიზიოდ იყო წასული.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა ქალაქის მოურავს წინადადება მისცა ქალაქის სამკურნალოსთან ფარდულის აშენებისათვის საჭირო 38,915 მან. და საარჩევანო სიების შედგენისათვის საჭირო 3,500 მან. შესახებ ქალაქის საბჭოს დადგენილებათა აღსრულება ჯერ-ჯერობით შეყენებულ იქმნას.

⁂ როგორც გორის მაზრიდგან გვატყობინებენ, წარსულის თვის განმავლობაში გადაუღებელს წვიმას ყოველივე სამუშაო დიდად დაუბრკოლებია. გარდა ამისა დაუსეტყვია სოფლები: წრომი, ოქრო-სოფელი, ხომლოთი, კელეთი, ახალ-სოფელი, ცუკიტა, ჯანგარაანთ-კარი, ძოვრეთი და სხვანი. სეტყვამ მცხოვრებთ საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა.

⁂ ტფილისის პირველ სავაჟო გიმნაზიაში წელს კურსი ათმა ქართველმა დაასრულა; აი ამათი გვარები: ანდრონიკაშვილი ს., გაბაშვილი ივ., გაბაშვილი ნიკოლოზ, გძელიშვილი სვ., დადიანი ვლად., ვაჩნაძე დიმ., ქართველიშვილი არჩილ, ყანჩელი რევაზ, ჯომარჯიძე შიხ. და ჯორჯაძე ალექსანდრე.

⁂ ბაქოს დედათა გიმნაზიაში წელს კურსი შეასრულა 43 მოსწავლე ქალმა; მათ შორის ქართველი სამია: ნად. გვარამაძისა, ეკატ. მჭედლიშვილისა და ალ. ჩხატარაშვილისა.

⁂ ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში წელს 16 ახალგაზდამ დაასრულა სწავლა. ამათგან ქართველი მხოლოდ ერთია, გვარად ჟღენტი.

⁂ რადგანაც გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი ორის თვით საზღვარ-გარედ წავიდა, ამის გამო წინამძღოლის თანამდებობას ასრულებს მისი კანდიდატი თავ. მ. რ. ერისთავი.

⁂ როგორც „ცნ. ფურ.“-ს შეუტყვია, კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისას უთხოვნია ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის, რომ კომისიამ, რომელიც, ქუთაისის თავად-აზნაურთა მინდობილობით ამ ჟამად ბანკიდგან დასაბრუნებელ თანხის განაწილების საქმეს იხილავს, სახეში იქონიოს ქალთა კომიტეტის მიერ განზრახული დედათა მომავალი სათავად-აზნაურო სკოლა და კომიტეტს სკოლის ფონდის გასაძლიერებლად შემწეობა აღმოუჩინოს.

⁂ ქუთაისი. წელს ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სწავლა დაასრულა თვრამეტმა მოსწავლემ, რომელთაგან ზოგი გიმნაზიის მეხუთე კლასში აპირობს შესვლას, ზოგი ტფილისის სათავად-ზნაურო გიმნაზიაში და ზოგი კერძო სამსახურში. აი სახელი და გვარი სწავლა-შესრულებულთა: ივლიანე გრიგოლაშვილი, ვასილ გაბუნია, ვალერიან ახვლედიანი, გიორგი გეგელია, ნესტორ ღოღობერიძე, კონსტანტინე ასათიანი, ნესტორ ნანაძე, ალექსანდრე დადიანი, ვასილ ქავთარაძე, ვლადიმირ ლოლუა, ირაკლი მასხულია, ანდრია დგებუაძე, ნიკოლოზ რევია, ივანე ყიფიანი, ბართლომე ქაჯაია, პავლე ჰუმბუხიძე, იოველ ქუთათელაძე, გრიგოლ ქავთარაძე.

⁂ დ. ტყიბული, (ქუთაისის მაზრა). შვიდს ივნისს აქ აკურთხეს ახლად დაწესებული ფოსტის განყოფილების სადგური. კურთხევას დაესწრნენ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ბ-ნი ი. რიაბჩინსკი, ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე, ტყიბულის ნახშირის ქარხანათა საზოგადოების დირექტორი, ქუთაისის გუბერნიის სახაზინო მამულთა რწმუნებული ბ-ნი ეჯუბოვი და სხვა მრავალნი პირნი. ფოსტის სადგური აკურთხა ადგილობრივმა მღვდელმა მამა გრიგოლ მიქაუტაძემ, კურთხევის შემდეგ დამსწრეთათვის სადილი იქმნა გამართული.

⁂ დ. ჭიათურა. ჭიათურის სასანიტარო კომისია პოლიციასთან ერთად, მთავრობის განკარგულების თანახმად, ჭიათურის შუა ადგილებიდგან თავლების გადატანისა და სადგომ-სავაჭრო სახლების დაწმენდა-დასუფთავების სისრულეში მოყვანას უკვე შეუდგა. ბევრმა ძალიან დაიზარა თავლების დაქცევა და გადატანა, რისათვისაც საჭირო შეიქმნა პოლიციის ჩარევა. ზოგიერთებს მით უფრო ეზარებოდათ თავლების დაქცევა, რომ თითქმის ეს ქოხმახები შეადგენდნენ ერთად-ერთს მათს სიმდიდრეს.

⁂ კვირას, 11 ივნისს, ღამე პოლიციის მე-6 ნაწილში, აბანოების ქუჩაზედ, ტფილისის მცხოვრებს ალექსი ცაცკალაშვილს და სენაკის მაზრის მცხოვრებს ილია ცანაშვილს მთვრალებს მოსვლიათ ჩხუბი, რომლის დროსაც ხანჯლებით დაუჭრიათ ერთმანეთი, ცაცკალაშვილი დაუჭრია მუცელში, ხოლო ცანაშვილი ფეხში. დაშავებულთ სამკურნალო შემწეობა აღმოუჩინეს.

⁂ შაბათს, 10 ივნისს, საღამოს $9^1/_2$ საათზედ პოლიციის მე-8 ნაწილში, გონჩაროვის ქუჩაზედ, ზურაბოვის სახლის ახლო ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის მცხოვრებს მახვილ დ. მესხს უნახავს ახლად დაბადებული ჩვრებში გახვეული ბავშვი, რომელიც პოლიციის სამართველოში მიუყვანია. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

⁂ სამკურნალო საბჭოს საჭიროდ დაუნახავს, დაავალოს კერძო მეაფთიაქეთ აღნიშნონ ხოლმე ნომერი მკურნალისაგან მიცემულ რეცეპტებით დამზადებულს წამლებს არა მარტო სიგნატურკაზე, არამედ დააკრან ხოლმე იარლიკი იმავე ნომრით შუშაზე ანუ იმ კოლოფზე, რომლითაც წამალს აძლევენ ავადმყოფებს.

⁂ L’ Academie Julian-ის უკანასკნელ საკონკურსო გამოცდაზედ კნ. არღუთინსკი-დოლგორუკისას ოქროს მედალი მიუღია ქანდაკებისათვის, რომელიც ქალს თურმე წარმოადგენდა.

—

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ მე-124 ნომრის „რუსეთში“ შეცდომით დაბეჭდილი იყო: „ნება-რთვა მღვდლებმა საზღვარ-გარედ წასვლისა ადგილობრივ ბოქაულისაგან უნდა აიღონო“. უნდა იყოს: „ნება-რთვა ადგილობრივ არქიელისაგან უნდა აიღონ“. იმავე ნომრის მე-4 ახალ ამბავში დაბეჭდილია: „ზედამხედველმა იმ 36 საგანგებო საქმეთა მოხელეების მაგიერობა უნდა გასწიონ, რომელთაც დასახლებულ ადგილების თვალ-ყურის ჭერა აქვთ მინდობილი“, უნდა იყოს: „რომელთაც დასახლებულ ადგილების თვალ-ყურის ჭერა აქვთ მინდობილი“.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ზემო-ავნევი (გორის მაზრა). მაისის ნახევრიდგან აქ განუწყვეტელი წვიმები იყო, რომელმაც გლეხი ხალხი ძალიან მოაცდინა მუშაობას: ჯერ თითქმის სიმინდები სრულიად არავის გაუთოხნია, ბალახმა ზედ გადუარა და ლამის ხელიდგან გამოეცალოთ. ეს არ ჰკმარა ისედაც დაქვეითებულ ხალხსა და პირველს ივნისს საღამოს ხუთ საათზედ ისეთი მოულოდნელად ადიდდა მდინარე ფცორე, რომ მთელს სოფელს თითქმის ზედ გადუარა: მრავალი სახლი აავსო წყალმა ტალახითა

სოკოს სახელებს არავითარი ახსნა არ აქვს და არც ნათარგმნია, მაინც დიდი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ რაფიელისა, რომ სახელები მაინც შეაგროვა.

ვისაც გული შეგტკივათ, დიდ სარგებლობას მოუტანდით ხალხსაცა და ქართულ ლიტერატურასაც, უკეთუ ზაფხულობით ხალხისაგანვე შეისწავლით: თქვენს გარშემო არე-მარეში რა და რა ჯიშის სოკო იზრდება, რა სახისა და ფერისაა ესა თუ ის სოკო, ხალხი რა სახელს უწოდებს, რაში ხმარობს—საჭმელად, წამლად თუ არაფრად. ყველა მაზრებიდგან ეს ცნობები რომ „ივერიის“ რედაქციაში მოგვაწოდოთ, ორიოდე წელიწადში დიდი მასალა მოგროვდება და მცოდნე კაცი გამოაქვეყნებს ხალხის საკეთილდღეოდ.

მოგვყავს აქ ერისთავის მიერ შეკრებილი სოკოს სახელები. ორიოდეს ჩვენ გავმარტავთ, დანარჩენს-კი ვინც იცნობს, იმას ვთხოვთ არ დაიშუროს და „ივერიის“ რედაქციას აცნობოს.

1) აბედი, ობედი. ხის სოკოა, არ იჭმება, მისგან აბედს ამზადებენ, 2) ბარქაზი, 3) ბებრის სოკო, 4) გველის სოკო—შხამიანია, 5) გორნიქელა, 6) გუდაფშუტა—უვარგისია, 7) ვარყა, 8) თირკმელა, трюфель გემრიელი სოკოა და დიდადაც ჰფასობს, 9) თხილის სოკო—უვარგისია, 10) ირმის ბაწარა, ჯონჯოლა. 11) ირმის ტუჩა, 12) კალმახი, წიფლის სოკო, მგონი—საჭმელია, 13) ლეგანი (სახელიდგან სჩანს, რომ საჭმელი უნდა იყოს), 14) ლურჯანა, 15) ლურჯ-კაბა, 16) მანჯანიკი, 17) მანჯკვალა, მანჭიკვარა, მანჭიკორა, 18) მაჩალო, 19) მგლის სოკო, 20) მერცხლის სოკო—არ იჭმევა, 21) მჭადა (რძიანა სოკოა ერთ გვარი) ყველა სოკო, რომელსაც გატეხის დროს რძე გამოსდის, საეჭვოდ ითვლება, ანუ შხამიანია, 22) ნაფეტვარა, 23) ნიყვა, მეფის-სოკო, სოკო-კვერცხი, მარქვალის-გური—ხალხისაგან ნაქებია. 24) ნოშო, 25) რიგა, 26) სად-მომწვიტე—თითონ სახელი ამტკიცებს, რომ ეს სოკო მაწყინარია, შხამიანია და ხალხის მახვილმა გონებამ კიდეც იმიტომ დაანათლა ასეთი მოსწრებული სახელი: სადმომწყვიტე? ეკითხება იმას, ვინც შეჭამა და ახლა ქოჩორს აგლეჯინებს სიმწვავით. სადმომწყვიტე ძლიერ მიემსგავსება ქამა სოკოს, ხამი კაცი ძნელად გაარჩევს ხოლმე და აკი ამიტომაც ბევრი იშხამება. 27) სავარცხელა, 28) სანელებელა—იქნება საჭმელი იყოს „სანელებელა“?, 29) სილის სოკო, 30) სოკო-ფიჩხა, 31) ტრედა, 32) ტურის სოკო (სოკო კომშისა), 32) ტყურბელა, 34) ქამა, ყველა იცნობს, გემრიელი საჭმელია. ტფილისში გირვანქას აბაზად ჰყიდიან, ინგლისელები სხვა სოკოს არა სჭამენ, თუ არ ქამა-სოკოს. 35) ქვეშ-ნიგვზისა, 36) ქვეყნის გული—წამალია და დიდ ხმარებაშიაც არის. აი ხალხური რეცეპტი: ქვეყნის გული იხმარება გულის ფრიალისა და შეშინებულისათვის, ჭიქაში ჩააგდე, წყალი დაასხი და ღამე გარეთ დადგი, რომ ვარსკვლავები აჰკრიფოს, მეორე დილას წყალი დალიე და ქვეყნის გული ისევ შეინახე—ორ-ჯერ, სამ-ჯერ გამოდგება.“

37) ლარილონა, 38) ყურა სოკო 39) ყურჭიტა, 40) შხამა სოკო—სახელიდგან სჩანს, რომ ეს სოკო საშინელი შხამიანია, რუსულად ბუზი-კალიას ეძახიან (Мухоморъ). შხამა-სოკოს (Agaricus Muscarius E.) ქიმიურად გამოკვლევამ აღმოაჩინა ერთგვარი ალკალოიდი მუსკარინი, რომელიც მართლაც რომ საშინელი შხამია, ჩვენდა საბედნიეროდ, შხამა სოკო ადვილი საცნობია, შესანიშნავი ჭრელი ქუდი ჰხურავს, ჯერ ჩალის ფერია, მერე ალის ფერი ხდება და თავზედ თეთრი ხლმურდლი აყრია, დიახაც ლამაზის შეხედულებისაა.

შხამა სოკოც ჯერ თეთრად ამობურთდება ხოლმე მიწიდგან, მერე სქდება, ფეხს იკეთებს და ლამაზ ქუდს იხურავს.

დასავლეთ ევროპაში ერთ ნაირი სოკო იზრდება, საუკეთესო საჭმელ სოკოდ ითვლება და შხამას ჯიშის სოკოს-კი ეკუთვნის. ვინ იცის, იქნება ჩვენი ნიყვა იყოს, რადგან სახელიც ძრიელ უგავს ნიყვას Agaricus caesarea, ე. ი. მეფის, ცეზარის სოკოო.

ჩვენ მაინც შხამა სოკო мухоморъ-ად მიგვაჩნია და ამ მუხამორზედ მოგახსენებთ, რომ ეს სოკო ძლიერ შხამიანია, ნედლი რომ დასჭრად და წყალი ან რძე რომ დაასხათ, ბუზებს ძლიერ ჰხოცავს.. ჩრდილოეთის და ციმბირის ხალხი მუხამორის ჩაისა სმენ და ისე ითრობიან, როგორც არყით.

განვაგრძოთ სახელები: 41) ჩობაყო, 42) ციდამოყვანა—მეგრულად ასე უძახიან ამ სოკოს და სჩანს შხამიანია, თუ კი სიმწვავემ ცაში აიყვანა, 43) ცხენის კბილა, 44) წეროს სოკო, 45) წეროს-წვივა, 46) წითელ-კაბა. საინტერესოა რად უძახის ხალხი ამ სოკოს წითელ-კაბას? იქმნება „მუხამორი“ ეს სოკო იყოს. ნეტა შხამიანია, თუ არა? 47) წოვანა—მგონი იჭმევა, 48) ჰკადუა სოკო, 49) ჰყუპალა (რაჭაში წიფლისა და რცხილაზედ იცის), 50) ხარის-ფაშვა, მგონი უბრალო სოკოა, 51) ხბოს შუბლა (რაჭაშია), 52) ხრაშუნა, არყა, სოკო-პიპილა (გურიაში იცის), 53) ჯამლა (მთიულეთში) და სხვ.

III

ჩვენი წრფელი სურვილია, რასაკვირველია, ამ წერილით რაიმე სარგებლობა მოგიტანოთ, ამიტომ აქ მოვიხსენიებთ მეცნიერთა რჩევას როგორ უნდა ვიცნოთ შხამიანი სოკო, ან როგორ უნდა ჯერ წავართვათ სოკოს შხამი და მერე ისე ვჭამოთ და თუ რომ კაცი უკვე მოიწამლა, რა საშუალებით უნდა დავიხსნათ სიკვდილისაგან.

საზოგადოდ მიღებულია: თუ სოკო გასტეხეთ და თეთრი ან ფერადი რძე გამოუვიდა, ან გატეხვაში თუ ცისფერია, არ იჭმევა. როცა სოკო იხარშება, ვერცხლის კოვზით მოურიეთ და თუ კოვზი გაშავდა, სოკო შხამიანია, სოკოს წვენმა ხახვი თუ გააშავა, ან მარილი გააყვითლა, ამ გვარი სოკო არ იჭმევა. ეს ყველა ხალხმა გამოცდილებით იცის, მაგრამ მეცნიერება დიდ მნიშვნელობას არ აძლევს ჩამოთვლილ ნიშნებს.

და დიდი ზარალი მისცა გლეხებს. ზოგიერთს თითო თვის სავმალი-და ჰქონდა დაფქული სიმინდი თუ ხორბალი და გოდორები სულ პირქვე მოაქცია უპატრონობით, რადგანაც შეშინებული საწყალი ხალხი გარეთ გამოცვივდა და თვალი ვეღარას ადევნა. ძალიან დაზარალდა წვრილ-ფეხობა: ქათამი, ინდაური, ბატი და გოჭები. შენობები არა დაუზარალებია-რა. ერთ წისქვილს და კოშკსაც საშიშრად გამოუთხარა ძირი. ხალხი ძალიან შეშინდა და აყრას აპირებს, მაგრამ გარეშემო სულ საბატონო ადგილებია და აღარ იციან საით წავიდნენ. შეშინდნენ მისთვის უფრო, რომ თითქმის ყოველ წლივ ასეთ შიშ ქვეშ არიან. გარდა ამისა, კოშკს ისე გამოუთხარა ძირი, რომ თუ ეს კოშკი დაანგრია, მაშინ სოფელს მოედება წყალი და მთელი ფრონე ზედ სოფელზედ დასდებს გზასა. დაზარალდა აგრეთვე ჭირნახულები და ვენახები, წალამა თითქმის მიწასთან გაასწორა. ასეთივე ზარალი ბევრს სხვა სოფელსაც მიაყენა. სოფ. ნულში დაიჭირეს ზევით სოფლებიდგან აკვნით წამოღებული დამრჩვალი ბავშვი.

კარგი იქნებოდა, მთავრობა ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს, საცოდავს გლეხებს როგორმე მდინარეზედ ცოტა მოშორებით მისცემდეს სასახლ-კარო ადგილებს და ამ ვაი-გაგლახს გადაარჩენდეს.

დამსწრე

უცხოეთი

ჩინეთი. როგორც ეხლა იუწყებიან გაზეთები, ევროპის სახელმწიფოებს პირველად, როსესაც ჩინეთიდგან „დიდის მუშტის" შესახებ ამბები მოსულა, იაპონიისთვის მიუნდვიათ ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევა და იქ წესიერების აღდგენა. მაგრამ არ გასულა ერთი კვირა, რომ თვით ევროპის სახელმწიფოებს მოუხდათ ჩარევა და ჯარის გაგზავნა. არავის არ ეგონა თურმე, თუ საქმე ასე გამწვავდებოდა და ამ ზომამდე მივიდოდა.

—პირველნი მსხვერპლნი ჩინეთში მომხდარ არეულობისა იყვნენ ინგლისელი მისსიონერები რობინსონი და ნორმანი. რობინსონმა განათლება უმაღლესს სამისიონერო სკოლაში მიიღო და 1898 წელს მღვდლად ეკურთხა და ჩინეთში წავიდა სახარების საქადაგებლად. მისიონერი ნორმანი „დიდის მუშტის" კაცებმა სწორედ იმ დროს მოჰკლეს, როდესაც ჩიჩუში სამისიონერო ეკლესიას ამთავრებდა. ნორმანთან ერთად დაჰხოცეს ქრისტიანე ჩინელნიც, რომელნიც ეკლესიის აგებაზედ მუშაობდნენ.

—ეს რამდენიმე დღეა ჩინეთის სატახტო ქალაქ პეკინიდგან აღარავითარი ამბავი აღარ მოსულა. მეამბოხეებმა დასწყვიტეს ტელეგრაფის მავთულები და ამბის მიუღებლობა იმის ბრალია. ამბობენ, ჩინეთში მყოფი სახელმწიფოთა ელჩები და საელჩოების მოსამსახურენი დიდს გაჭირვებასა და განსაცდელში არიანო. მთელს ქალაქში „დიდის მუშტის" ბრბონი დაძრწიან და დაეძებენ ქრისტიანებსა და ევროპიელებს. სახელმწიფოთა ჯარი ინგლისელ ადმირალის საიმურის მეთაურობით თუმცა წავიდა პეკინისაკენ, მაგრამ მალე ისევ უკან დაბრუნებულა. ასე რომ პეკინში მომწყვდეულთ ჯერ კიდევ არ ეღირსებათ განთავისუფლება. შეიძლება მანამ მშველელი ჯარი შევიდოდეს, ჩინელებმა ბევრი მათგანი ამოსწყვიტონ კიდეც. მომწყვდეულები არიან ელჩები; გერმანიისა—ფონ-კეტტელერი, რუსეთისა—მ. ნ. გირსი, ინგლისისა—მაკდონალდი, საფრანგეთისა—პიშონი, იტალიისა—მარკიზ სალვაგო რაჯი, ამერიკისა—კონჯერი და იაპონიისა ბარონი ნიში. ამათ გარდა საელჩოებში სხვა მოხელენიც არიან. აი რასა სწერს ამათ შესახებ კორესპონდენტი გაზ. „Matin"-ს: „პეკინში მყოფი ელჩები თავიანთსავე საელჩოებში არიან ჩაკეტილნი. ამ საელჩოებს იცავენ ზღვაოსანთა მცირე რაზმები. ევროპის სახელმწიფოთა და შეერთებულ შტატების ქვეშევრდომნი ამ პატარა სიმაგრეებში შეიკრიბნენ, არავის არ შეუძლიან იქიდგან გამოსვლა, ბრბო ასეთ გამბედავს მაშინვე მოუსპობს სიცოცხლეს. ამ საელჩოების გარდა ჩინელებმა ყველაფერი დააქციეს პეკინში, რაც-კი ევროპიელებს ჰქონდათ: მაღაზიები, დამოუნები, კათოლიკეთა და პროტესტანთა ეკლესიები და ნიშები. ყველაზედ უფრო საშიშ მდგომარეობაში პეკინში მყოფი ევროპიელნი არიან; ტიან-ძინელებს არა უშავთ-რა: იქ ზღვაოსანნი ბლომად არიან და ისინი შესძლებენ ევროპიელთა დაცვას, ამას გარდა ტიან-ძინიდგან რამდენისამე ვერსის სიშორეზედ ევროპიელთა ორმოცი სამხედრო გემი სდგას. პეკინი-კი სრულიად მოწყვეტილია და გარეშემო „დიდის მუშტის" ბრბონი ახვევია.

ინგლის-ტრანსვაალის ომი. თუ ინგლისურ გაზეთებს დავუჯერებთ, დიდი მომხრე ომის განგრძობისა და მორიგების წინააღმდეგი კრიუგერი კი არა, ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტი შტეინი ყოფილა, რომელიც ამ ჟამად ფრანკფურტშია. როდესაც ინგლისელები ტრანსვაალში შესულან, კრიუგერს უთქვამს, ზავის ჩამოსაგდებად მოლაპარაკებას შევუდგეთო, მაგრამ შტეინი ძალიან აღსდგომია წინ ამ წინადადებას.

—რა-კი ინგლისელებმა ჯარითა და ზარბაზნებით სავსებით ვერ დაიმორჩილეს ბურები, ამიტომ ეხლა ფულის შემწეობას მიჰმართეს. აი რას ატყობინებენ გაზ. „Daily News"-ს ლორენცო-მარკეზიდგან: „მართლდება ის ხმა, რომ ინგლისის მთავრობას, თავისს აფიცრების პირით, შეუძლევია გენერლების დევეტისა და ბოტასათვის 2,500,000 მანეთი, თუ ისინი დათანხმდებიან და ინგლისელებს დაემორჩილებიანო". მეორე გაზეთს „Stan"-ს დეპეშით ატყობინებენ: „ბურები ამბობენ, რომ ინგლისელებმა 400,000 მანეთი შეაძლიეს გენერალ ლუკა მეიერს იმისათვის, რომ იგი ბიგგორის მთებს გასცლოდა და შორს სადმე წასულიყო".

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთ რუსულ გაზეთს მოჰყავს ქალების სასწავლებლის მოსწავლეთა საეგზამენო თხზულებათა ნიმუშები. თავის თხზულებაში ერთ მოსწავლე ქალს ასე აუწერია მამალი: „მამალი ზოოლოგიას ეკუთვნის. ბოლო მამალს ქვეიდგანა აქვს. მამალს თვალებიცა აქვს. თვალები საჭიროა მამლისათვის იმიტომ, რომ საკენკი დაინახოს. მამალი კვერცხს არა სდებს. პირველად მამალი კვერცხი იყო და მაშინ იგი ძალიან სასარგებლო იყო, რადგანაც გული ჰქონდა, რომლისაგანაც დედა ერბო-კვერცხს აკეთებდა. ერბო-კვერცხი ძალიან გვიყვარს მეც, დედასაცა და მამასაც". მეორე ქალს კიდევ ასე აუწერია ჭილყვავი: „ჭილყვავი ყომრალი ან მიხაკის ფერის ფრინველია. როდესაც ეს ფრინველი შავია, ყვავს ეძახიან. ჭილყვავს ფეხები აქვს და სიმღერა იცის, მაგრამ ამასთან ჰყივის ხოლმე. წინ ჭილყვავს ნისკარტი და პირი აქვს, რომლითაცა სჭამს. ჭილყვავს ბოლო აქვს, მაგრამ იმით ფრენა არ შეუძლიან, ამიტომ ფრთებითა ჰფრენს. ჭილყვავი სასარგებლო ზოოლოგიათ არ ითვლება, რადგანაც იმით ლეიბებს ვერ აკეთებენ. აი, მაგალითად, ბატი სულ სხვაა: ბატისაგან „ყარყოის" აკეთებენ და იმის ბუმბულსაც იყენებენ. მამაჩემი ყარყოის არა სჭამს, რადგანაც მუდამ მუცელი სტკივა. რისთვის არსებობენ ჭილყვავები, ეს ჯერ არ გვისწავლია სკოლაში". მესამე მოსწავლე ქალმა განმარტა კიდევ, რომ საქარამ თავისი სახელი შაქრის პლანტაციებისაგან მიიღოო.

* * *

ამას წინად ხემნიცში ადგილობრივ სასამართლოს გაურჩევია რეალურ სასწავლებლის ორის მოსწავლის საქმე. მოსწავლეებს ამხანაგის ტანჯვა-წვალება ჰბრალდებოდათ. დაუჭერიათ ეს ამხანაგი და საშინლად უცემიათ; სცემდნენ თურმე ჯოხებით, ქვებით; დამპალი კარტოფილი და საპონი უჭმევიათ. ამას გარდა ტანში ნემსს უყრიდნენ თურმე და მოკიდებულის სანთლით ფეხებს უწვავდნენ. სასამართლო მეტად სასტიკად მოეპყრო ბრალდებულთ: ერთს $1\frac{1}{2}$ წლით, ხოლო მეორეს 9 თვით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ივნისი.

ბერლინი. გერმანიის ელჩი იუწყება ჩიფუდან, რომ გემს „ილტის"-ზე მოკლულ იქმნა 7 კაცი, მათ შორის ლეიტენანტი ხელმანი, დაჭრილ იქმნა 14, მათ შორის მძიმეთ არის დაჭრილი გემის უფროსი.

ბერლინში მყოფმა ჩინეთის ელჩმა შეატყობინა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ გერმაანიის ელჩი პეკინში ცოცხალია და არც არა უჭირსრა.

გერმანიის ელჩი იუწყება ჩიფუდგან, რომ ჩინელები განუწყვეტლივ ესვრიან ტიან-ძინის იმ ნაწილს, სადაც ევროპიელები სცხოვრობენ. უმეტესი ნაწილი შენობათა დაიწვა. პეკინიდგან არავითარი ცნობა არ მოსულა.

ლონდონი. შანჰაიდგან დეპეშით იტყობინებიან, რომ თითქმის ყველა სახლი გადასწვეს ვეი-ხაი-ვეის იმ უბნებში, სადაც უცხოელნი სცხოვრობენო. „რეიტერის სააგენტოს" ამის შესახებ არაფერს ატყობინებენ.

ვენა. გაზეთი „Neue Freie Presse" იუწყება, რომ ბერლინში მყოფმა ჩინეთის საელჩომ დეპეშა მიიღო ლიხუნგ-ჩანგისაგან, რომლითაც ის იუწყება—მივდივარ პეკინში, რათა ვიკისრო შუაკაცობა ჩინეთსა და უცხო სახელმწიფოთა შორისაო. დეპეშაში გამოცხადებულია სურვილი, რომ შუაკაცობის მოვალეობის გაადვილებისათის და შერიგების მოხდენისათვის, ევროპიელებმა შეაჩერონ ჯარების გამოგზავნა ჩინეთში. გარდა ამ დეპეშისა, საელჩოს ცნობა მოსვლია ჩინეთის რკინის გზების დირექტორისაგან, რომ პეკინში მყოფი უცხოელთა ელჩები კარგად არიან და მათ საშიში არაფერი მოელისო.

ბერლინი. „ვოლფის სააგენტო" იუწყება: „ლიხუნ-ჩანგს განზრახვა აქვს ჯერ მოსპოს „დიდის მუშტის" აჯანყება და შემდეგ დაიწყოს შუამავლობა ჩინეთისა და უცხო სახელმწიფოთა შორის".

ნიუ-იორკი. მეტოდისტების მისსიონერთა ხელმძღვანელმა ტიან-ძინში შემდეგი დეპეშა გამოგზავნა ჩიფუდგან: „ეს არის გამოვიქეცი ტიან-ძინიდგან და თავს ვუშველე გერმანელ ნავით. უკვე რამდენიმე დღეა ტიან-ძინს ზარბაზნებს ესვრიან ჩინელი ჯარები. უცხოელთა ნაწილი

შხამიანი სოკო თუნდა გაახმოთ კიდეც, თავისს შხამს არა ჰკარგავს. რაც უნდა უშხამო სოკო იყოს, თუ რო ნაყარია, გაფუჭდა და დალპა, საჭმელად სრულიად აღარ ვარგა, რადგან სიდამპლეში შხამი უჩნდება. ამიტომ როცა სოკოს გახმობა გინდათ, დაჰკრეფთ თუ არა, იმ წამსვე უნდა გაჰფინოთ გასახმობად. გახრწნის დროს სოკო შხამს (ნერინი) იჩენს და მერე თუ გინდ გაახმოთ, შხამს ვერ წაართმევთ. ყველაზედ ნამდვილი საშუალება, რომ კაცი არ მოიწამლოს სოკოთი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ნამდვილად იცნობდე, რომელია შხამიანი და რომელი უშხამო. ხალხის გულშემატკივარი ცნობილი ექიმი რასპაილი ეხვეწება ხალხს: მე თქვენზედ კარგად ვიცნობ უშხამო სოკოს, მაგრამ ახლოც არ ვეკარები, რადგან მისის უჭმელობით არაფერი დამიშავდება და ჭამით-კი ვაი თუ შეცდომის მსხვერპლი გავხდეო; თუ მაინც და მაინც არ დაგიშლიათ, ისე ხილად, ზომიერად სჭამეთ, ნუ კი მიაძღებითო.

როცა სოკო საეჭვოა და გინდათ უფრო გულ-დაჯერებით იყვნეთ და უშიშრად მიირთვათ, მეცნიერება აი რას გვირჩევს: 1, დამდუღრეთ წვრილად დაჭრილი სოკო, ან რამდენჯერმე წამოადუღეთ წყალში, წვენი გადაღვარეთ და სოკო მოამზადეთ საჭმელად; 2, წყალ-ნარევ ძმარში დაალბეთ დაჭრილი სოკო ერთს ღამეს, მერე სოკოდგან ძმარი გამოწურეთ, ძმარი გადაღვარეთ და სოკოსაგან საჭმელი მოამზადეთ, ამ საშუალებას ჰხმარობენ იტალიაში და, როგორც ავტორები ამბობენ, იტალიაში ძნელად რომ მოხდეს სოკოსაგან კაცის მოწამლვა.

ჩვენი ხალხი საზოგადოდ ადვილად არჩევს სოკოს, რომელია მათში შხამიანი და რომელი საჭმელი; ზოგს გარეგნობით, ფერით არჩევს, ზოგსაც რძიანა წვენი გამოსდის და გემოთი მწვავე და შესაზარია, მაგრამ ერთგვარი სოკოა, რომელსაც რუსულად блѣдная паганка ჰქვიან და ლათინურად Agaricus (Amanita) phalloides Fr. ეს სოკო ხათაბალა იმიტომაა, რომ ქამასოკოს ძლიერ ჰგავს (იქნება ჩვენი „სადმოწყვიტე"-ა) და ხამი კაცი ძნელად სცნობს, ძნელად არჩევს ქამასაგან. არა თუ ჩვენში, ევროპა ხომ განათლებული ქვეყანაა და იქაც-კი ხალხი 75% შეცდომის მსხვერპლად ხდება და ტანჯვით ესალმებიან წუთი-სოფელს.

ამ სოკოს კაცი რომ სჭამს, არაფერს ატყობს, ზოგჯერ გაივლის 7 და ხან 12 საათიც, რომ იმისს თავს არაფერი ამბავია, ხშირად 24—28 საათს შემდეგ იჩენს ხოლმე შხამი თავისს ძალას. აი ნიშნები მოწამლულისა: ჯერ აუტყდება გულის ზიდება, პირიდგან რწყევა, მუცლის გლეჯა, ტანიდგან ხშირი საქმება, საშინელი წყურვილი და თავის ტკივილი. მერე დააწყებინებს კრუნჩხვას, კაცი ყვითლდება და სხვა. ამ სოკოს შხამი სისხლზედ ჰმოქმედობს, მის ჰემოგლობინს აწყალებს, რის გამოც შარდიც წითლად შეიღებება ხოლმე, მოწამლული კაცი ძნელად რჩება და უფრო ხშირად 20—30 საათის ტანჯვის შემდეგ კვდება.

ჩვენდა საბედნიეროდ, ადამიანს თავისი „მფარველი ანგელოზი" ჰყავს. თითონ ბუნება ადამიანისა ჰდარაჯობს ადამიანის სხეულის სიკეთისათვის და რა წამს შხამი შედის სხეულში, თითონ ბუნება იმ წამსვე სცდილობს კუჭიდგან გარედ გააგდოს დაუპატიჟებელი სტუმარი. ამ მიზნის მისაღწევად დიდებული ექიმი, თვით ბუნება, მაშინათვე აუტეხს კაცს პირიდგან და ტანიდგან საქმებას და ამგვარად სხეულს იხსნის ხოლმე სიკვდილისაგან. დიაღ, თვით ჩვენივე ბუნება ჩვენი მფარველი ანგელოზია და დიდებული ექიმი, რომელიც გვიხსნის ხოლმე ყველა სატკივრისაგან და მოწამლვისაგან. მაგრამ ბუნებას მაინც შველა და ჩვენი დახმარებაც უნდა. სოკოსაგან მოწამლული შეიძლება შემდეგი საშუალებით და წამლებით დაიხსნათ სიკვდილისაგან. უწინარესს ყოვლისა ეცადეთ სწრაფად განდევნოთ კუჭიდგან შხამიანის სოკოს ნაჭრები. ამისათვის საჭიროა იმ წამსვე დაალევინოთ ავადმყოფს ჯერ პირიდგან სასაქმებელი წამალი ოქროს ძირას მტვერი, რომელსაც აფთიაქში იშოვით და ლათინურად „იპეკაკუანა" ჰქვიან. პირიდგან არწყევს თუ არა, მაშინვე დაალევინეთ ტანიდგან სასაქმებელი გენაგერჩხის ზეთი. თუ ოქროს ძირა ვერ იშოვოთ, ბუმბული (ქათმის ფრთა) ამოავლეთ ზეთში და საყლაპავში ულიტინეთ, გულს დააზიდებს და არწყევს; თუ ესეც ვერ იშოვოთ, პირ-და-პირ თითი ჩაიყოს პირში და ძალად გამოიწვიოს პირიდგან რწყევა. რა თქმა უნდა, რომ თუ ახლო-მახლო გეგულებოდეთ მკურნალი, საჩქაროდ მოიწვიეთ და მანამდე-კი არას დააშავებთ ზემო ნათქვამი წამლები მისცეთ.

ბოლოს და ბოლოს აი რას გვირჩევს მეცნიერი ხალხი; 1) სჭამეთ მხოლოდ ის სოკო, რომელიც იცით, ნამდვილად, რომ უვნებელია და უშხამო; 2) ნუ სჭამთ ბევრს სოკოს, ნუ მიაძღებით, რადგან ძნელი მოსანელებელია კუჭისათვის; 3) ნუ სჭამთ ყველსა, ნაყარსა და დამპალს სოკოს ანუ იმ სოკოებს, რომელნიც მეტად სწრაფად იზრდებიან; და 4) სოკოსაგან მომზადებული საჭმელი თუ დაგრჩათ, ცივს ნადგამს, ანუ ხელახლად გაცხელებულს ახლოც ნუ მიეკარებით.

დასასრულ დიდად და დიდად დაგვავალებს, ვინც ამ წერილში შეცდომებს გაგვისწორებს და გონივრულ კრიტიკას არ დაიშურებს საგნის საუკეთესოდ გამოსარკვევად. აგრეთვე დიდს სამსახურს გაუწევს ხალხს და ქართულ ლიტერატურას, ვინც ჩვენის სამშობლოს სოკოების შესახებ რაიმე ცნობას მოგვაწოდებს, „ივერიის" რედაქცია სიამოვნებით დაბეჭდავს ავტორისავე სახელით. ერთად ვიშრომოთ და იქნება იმ საგანს მივაღწიოთ, რომ შევამციროთ იმ გვარი უბედური შემთხვევა, როგორიც ამ ორიოდე კვირის წინად გორის მაზრაში მოხდა: მთელი ოჯახი სოკოს შხამით ამოსწყდა. „წინა-კაცი უკანასი ხიდიაო", და მეც დიდი მოხარული ვიქნები, თუ ეს ჩემი წერილი მომავლებს ხიდად მაინც გამოადგება.

ილია ალხაზიშვილი

ტიან-ძინისა დაქცეულია. ამერიკის გემის ლეიტენანტი რაიტი და 50 ჯარის-კაცი ზოგი მოკლულია, ზოგიც დაჭრილი; უთუოდ საჭიროა მომშველ ჯარის გამოგზავნა“.

შანჰაი. ხუთშაბათს ჩინეთის ჯარმა 50 ზარბაზნით, პრინცის ტუანის წინამძღოლობით, იერიში მიიტანა ტიან-ძინზე. აქამდის ქალაქი ვერ აიღეს ჩინელებმა, მაგრამ ზარბაზნებმა დიდი ვნება მიაყენა ქალაქს.

უკანასკნელ და უტყუარ ცნობებიდგან სჩანს, რომ საელჩოები პეკინში ჯერ კიდევ უვნებლად არიან.

გონკონგი. ლი-ხუნ-ჩანგი იუწყება, რომ ის დედოფალმა პეკინში დაიბარა ამბოხების მოსასპობლად და ჩინეთსა და უცხოელთა შორის მშვიდობიანობის დასამყარებლადაო. ის მიდის კანტონიდგან 14 ივნისს გონკონგითა და შანჰაით.

ლონდონი. პრეტორიიდგან 6 ივნისს დეპეშით იუწყებიან, რომ ბულლერის, ბრაბანტის და რენდლის ჯარებმა შუაში მოიმწყვდიეს დევეტის რაზმები; თუ საჭირო იქნა, ინგლისელებს მოეხმარება აგრეთვე გენერალ გამილტონის ჯარიც. ბოტამ გამოაცხადა, რომ მზად ვარ დავნებდე ინგლისელთ, მაგრამ კრიუგერი წინააღმდეგია ამისიო. კრიუგერი თხოულობს ტრანსვაალშივე დარჩეს. გარდა ამისა ბოტას აქეზებს წინააღმდეგობაზე დევეტი.

იოკაგამა. იაპონიის ჯარების მოძრაობის შესახებ ცნობებს არ ამჟღავნებენ, მაგრამ დაბეჯითებით ამბობენ, რომ კიდევ ერთი დივიზია, მიდის ჩინეთშიო.

აქაურ გაზეთებს დიდი იმედი აქვთ, რომ ლი-ხუნ-ჩანგი კარგად შეასრულებს მინდობილებასაო.

შანჰაი. ელჩებმა მიჰმართეს ჩინეთის ადმირალს საერთო ნოტით, რომელშიაც სთხოვენ გაიყვანოს ნავთსადგურიდგან თავიანთი გემები. ორი გემი დღეს მიდის აქედგან, დანარჩენები-კი ხვალ წავლენ.

პარიჟი. გარეშე საქმეთა მინისტრმა ღამე რამდენიმე დეპეშა მიიღო ჩინეთიდგან. შანჰაის ელჩი იტყობინება, რომ ჩინელები კიდევ უშენენ ყუმბარებს ტიან-ძინსა და ამერიკელთა საელჩო დაქცეულიაო. პეკინიდგან ჯერ კიდევ არ მოსულა ცნობები.

11 ივნისი

პეტერბურგი. სახელმწიფო ბანკმა დასწია სესხების პროცენტი 4 პროცენტიან რენტისთვის 6% მდე, დანარჩენ ფასიან ქაღალდებისთვის, რომელთაც ხაზინის გარანტია აქვთ, 6½%-მდე, ხოლო იმ ქაღალდებისთვის, რომელთაც გარანტია არა აქვთ 7%-მდე.

მთავრობის განცხადება: „იმ წამსვე, როგორც-კი მოვიდა ჩინეთიდგან საშიში ამბები, მთავრობამ თავისს ელჩის პირით მოსთხოვა ჩინეთის მინისტრებს ქვეყნის დასამშვიდებლად, ზომები მიეღოთ. ელჩს გირრს დავალა ჩაეგონებინა ცუნგ-ლი-იამენისათვის, თუ რა ცუდს შედეგს მოუტანს ჩინეთს უცხოელთა წინააღმდეგი ამბოხება. სამწუხაროდ, ჩინეთის პროვინციელ მოხელეთა უზრუნველობამ წააქეზა მეამბოხენი, რომელთაც მთავრობის ჯარმაც მხარი მისცა. ამბოხება დღითი-დღე ძლიერდება. 25 ივნისს „დიდი მუშტის“ კაცებმა დასწვეს მართლ-მადიდებელთა ეკკლესია დუნტინანში და ემუქრებოდნენ გადაწვას რუსეთის სასულიერო მისსიასაც. ჩრდილოეთ-ჩინეთში მცხოვრებ რუსთა მდგომარეობა განსაცდელში ჩავარდა. ჩვენის ელჩის განკარგულებაში იყო მხოლოდ 75 ჯარის-კაცი. ამ გარემოებათა გამო აღარ შეიძლებოდა არ მიგვეღო საჭირო ზომები. უმაღლესის ბრძანებით კვანტუნის ოლქის უფროსს განკარგულება მიეცა — მზად ჰყოლოდა 4000 კაცი ჩინეთში გასაგზავნად რუსეთის ელჩის მოთხოვნისათანავე. მაგრამ რადგანაც ამის შემდეგ შესწყდა ტელეგრაფის მუშაობა პეკინთან, ხოლო შანხაიდგან კი იუწყებოდნენ, რომ პეკინს გარშემო შეგროვდნენ „დიდი მუშტის“ მომხრენი, რომელნიც ჰფიქრობენ ევროპიელთა მისიებზე თავს დასხმასაო, ვიცე-ადმირალს ალექსეევს ებრძანა, გაჰგზავნოს პეკინისაკენ ზემოდ მოხსენებული ჯარი. ამ ჯარის ნახევარს, ტიან-ძინში მისვლისას, რკინის გზა და ტელეგრაფი გაფუჭებული დახვდა. თვით ტიან-ძინში მეამბოხენი ორჯერ დაესხნენ თავს ევროპიელთა ნაწილს; ცეცხლი წაუკიდეს ჩინელთა მოსახლეობას და ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორის სახლსაც. ჩვენმა ჯარმა დაამარცხა და უკუ აქცია ორჯელვე მეამბოხენი; თვითკი ზარალი არა მოსვლია-რა. მეამბოხეთა ბრბომ დაიჭირა მაშინ ტაკუს სიმაგრეები იმ აზრით, რომ გზა შეეკრა მაშველ ჯარებისათვის და აგრეთვე დაეშალათ სურსათის მოტანა. ამ გარემოებამ აიძულა საერთაშორისო ჯარები გზა გაეხსნათ ზღვისაკენ და წაერთმიათ მეამბოხეთათვის ტაკუს სიმაგრეები. 4 ივნისს მომხდარ ბრძოლის შედეგი უკვე გამოცხადდა. რა კი ტაკუს სიმაგრეები დაჭერილია, რუსეთის ჯარს შეუძლიან აღასრულოს მინდობილება და დაიცვას რუსეთის ქვეშევრდომნი. ყოველივე ზემო აღნიშნულიდგან სჩანს, რომ რუსეთის ჯარის შესვლა ჩინეთში სრულიადაც არ ნიშნავს მტრულს განწყობილებას ჩინეთთან; პირიქით, რუსეთის ჯარს ჩინეთში შეუძლიან დახმარება აღმოუჩინოს მთავრობას და მოასპობინოს ამბოხება“.

ლონდონი. ნება მიეცა ინგლისის გემებს, რომელნიც ჩიფუსა და ტაკუს შუა იმყოფებიან, მიიღონ კერძო დეპეშები. შანხაისა და ჩიფუს შუა ჩინეთის ტელეგრაფმა დაიწყო მუშაობა.

პარიჟი. საბიუჯეტო კომისიაში ლანესანმა განაცხადა, რომ მის მიერ მოთხოვნილ კრედიტით შეიძლება შენახულ იქმნას 35000 ჯარის-კაცი ტაკუში, სწორედ იმდენი ჯარი, რამდენიც თვითოეულ სახელმწიფოს ჰყავს.

კილი. მოვიდა იაპონიის პრინცი კანინი, რომელსაც პრინცი ჰენრიხი მიეგება.

შანხაი. ჩიფუდგან იტყობინებიან, რომ საქმეთა მდგომარეობა ტიან-ძინში თუმცა საშიშოა, მაგრამ არც სულ უნუგეშოაო. ქალაქს ყუმბარებს ესვრიან; ნაწილი კიდევაც იწვის; დამცველებმა საგრძნობლად იზარალეს. გუშინწინ ქალაქის დასახსნელად წავიდა ტიან-ძინისაკენ 2000 კაცი. ამერიკის ელჩს ტაკუში დეპეშა მოუვიდა, რომ 21 ივნისს გაგზავნილი ჯარი ტიან-ძინის განსათავისუფლებლად უკანვე დაბრუნდა, მაგრამ პარასკევს ღამით, მეშველ ჯარის მოსვლისათანავე შეებრძოლა მტერსაო. სამხედრო მატარებელი გადავარდა ლიანდაგიდგან. ნანკინის ვიცე-კოროლი დეპეშით იუწყება 20 ივნისს, რომ პეკინში უცხოელთა საელჩოები უვნებელიაო.

ბერლინი. აქაურს ჩინეთის საელჩოს შანხაიდგან ატყობინებენ: უცხოელთა საელჩოები პეკინში უვნებელია და ყველა ელჩები კარგად არიანო.

12 ივნისი

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა შემდეგი უმაღლესი ბრძანება: „საჭიროდ ვცანით რა, რომ პრიამურის ოლქის ჯარი სამხედრო დროის წეს-რიგზედ იქმნას მოწყობილი, ვუბრძანებთ სამხედრო მინისტრს, ეხლავე შესაფერი განკარგულებანი მოახდინოს. ამასთან ვუბრძანებთ, გაიწვიოს ჯარში სათადარიგო ჯარის-კაცნი პრიამურისა და ციმბირის სამხედრო ოლქებიდგან“.

11 ივნისს გრაფის მურავიოვის გვამი დასასაფლავებლად წაასვენეს.

პერმი. დაიწყო შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა წარმომადგენლების კრება. სალამოთი ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კოკოვცევი მოვიდა.

ლეპიუი. შარლ დიუპუი სენატორად იქმნა არჩეული.

კიევი. დაასაფლავეს მიტროპოლიტი იოანიკე. დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

შანხაი. პრინცმა ტრანმა დაითხოვა ჩრდილოეთის ჯარის მთავარსარდალი იუნგლუ და თვით იკისრა ჯარის უფროსობა. წინდაწინვე გამოაცხადა, ტიან-ძინში წავალ და გავნდევნი იქ მყოფ ერთ მუჭა უცხო-ქვეყნელთაო.—როგორც უკანასკნელად პეკინიდგან იუწყებიან, სადიპლომატო მისსიები ჯერ-ჯერობით მაგრად არიან. იმათ გარს ჩინელები არტყიან, რომელთაც იერიში ვერ მიუტანიათ; იმედი აქვთ, სიმშილით ამოვხოცავთო—იუწყებიან, იმპერატრიცამ ბრძანება გასცა უცხო-ქვეყნელთა ამოწყვეტის შესახებაო.—ტიან-ძინიდგან იტყობინებიან, მართლდება, რომ უცხო-ქვეყნელთა კონცესიების სადგომებს გენერალის ნიჩის ჯარი ესვრის. ყუმბარები ბაღში ეცემოდა, სადაც ქალები იყვნენ შეხიზნული. ტიან-ძინში 3000 უცხო-ქვეყნელი ჯარის-კაცია, რომელთაც შეუძლიანთ წინააღმდეგობა გაუწიონ ჩინელებს.

კაპშტადტი. კაპის ახალშენში, მდინარე ორანჟეს ჩრდილოეთით, ამბოხება ჩამქრალ იქმნა. დევილიეს რაზმი, რომელიც შესდგებოდა 220 კაცისა, 280 ცხენისა, 18 ვაგონისა, 260 თოფისა 100,000 ტყვიისაგან, ბლუმფონტენში მოვიდა და უორრენს დაემორჩილა. თვით დევილიე მცირე რაზმით აღმოსავლეთისკენ წავიდა.

ვაშინგტონი. ამერიკას ჩინეთში ეყოლება: 4500 ჯარის-კაცი და ერთი ბატარეია, 16 დიდი გემი და 500 ზღვაოსანი. ჯარის უფროსად დანიშნულია გენერალი გალლია, გემებისა—კემპფი. გემს „მონადნოკს“ ტაკუში წასვლა ებრძანა.

გონკორიდგან იუწყებიან, ადმირალმა სეიმურმა ალყა შემოარტყა პეკინის იმ ნაწილს, სადაც თათრები სცხოვრობენო.

ლონდონი. საადმირალომ დეპეშა მიიღო ჩიფუდგან ინგლისის ესკადრის უფროსისაგან, რომ ესკადრების უფროსნი თანხმობით მოქმედებენ რუსეთის ვიცე-ადმირალის როგორც უფროსის აფიცერის წინამძღოლობითაო. ვეი-ხაი-ვეის რაზმის 200 კაცი 22 ივნის გადავიდა ნაპირზედ.—რადგანაც 5 დღის განმავლობაში ტიან-ძინიდგან მხოლოდ ერთმა გამოგზავნილმა კაცმა მოახერხა გამოპარვა, ამიტომ არავითარი ამბავი არ მოსულა იმის გარდა რომ უცხო-ქვეყნელთა კონცესიები თითქმის სულ დაქცეულია. უცხო-ქვეყნელნი მამაცად განაგრძობენ ბრძოლას. 22 ივნისს მოისურვეს ტიან-ძინის განთავისუფლება, მაგრამ მცირეოდენის ზარალით ჯარი განდევნილ იქმნა. ტიან ძინთან უოლლერის რაზმს მოუკლეს 4 კაცი და დაუჭრეს შვიდი. დღეს ტიან ძინის განსათავისუფლებლად 2000 კაცი წავიდა. ზღვათა მინისტრმა უბრძანა ადმირალს რევიუს გემით „ბროკლინით“ ტაკუში წავიდეს, ხოლო გენერალს მაკ-არტურს—ამ გემით იმდენი ჯარი გაჰგზავნოს, რამდენიც შეიძლება.

ქართულის ენის საუნჯის მასალად

ბ

ბდღვირი, დიდი მტვერი; იტყვიან, ბდღვირი ადინაო, იმერ.

გ

გორო, ოთხი ბათმანია. იმერ.

განზრახება, შეგონება, რჩევა. იმერ.

განზრახ, წინადვე მოფიქრებით. იმერ.

გაშილიფება, ჩაუცმელად ყოფა, რომ აკლდეს რამე. იმერ.

გაფალანჩება, იხ. გაშილიფება.

დ

დიჟა, ბალახია, ძირი იჭმევა. იმერ.

ე

ეჟვანა, ხარი, ვეფხის ფრად აფერადებული. იმერ.

ზ

ზედა-ქვეთა... ქც̃ხ. ნ. I

კვერნა .. კვერნის დაჭერა—გაკოტრება. კვერნა დაიჭირაო, იტყვიან იმერ.

კეთილ-ჰასაკოვანი... ქც̃ხ. ნ. 1.

კიტრა მაჟა, პატარა და მარდი კაცი.

მ

მიწდომილ ყოფა... ქც̃ხ. ნ. I.

მიხვილიფება, გაპარება, დამალვა, მიახვილიფაო, იტყვიან იმერ.

მოცოროზი... აგრეთვე გონებით უდროოდ მოწიფული. იმერ.

მიკუნჩუხურება, კუთხეში მიგდება, მიმალვა.

ნ

ნარწყული, რაზედაც ანუ რაშიაც წყალი ყოფილა. იტყვიან: წყალი ნარწყულს არ დააგდებსო. იმერ.

ნაგვერდული, საფიცრე ძელს რომ პირველ ფიცარს მოახერხვენ. იმერ.

ო

ოცობოდო, უგზო-უკვლო. იმერ.

ჟ

ჟრუნი... აგრეთვე ჭრელი ქათამი. იმერ.

ჟღალი, ჭრელი, ჟღალი ქვაო, იტყვიან იმერ.

ს

სანთიობო, საგანგებოდ მომზადებული ოთახი ახლად დაქორწინებულთათვის. მეფე-დედოფლის სანთიობოში შეყვანა და თოფის დაცლა ერთი უნდა იყვესო, იტყვიან იმერ.

სამთილო, ქმრის სამშობლო ცოლისათვის. რაჭა.

სწორ რიცხვეულ ყოფა... ქც̃ხ. ნ. I.

სკვილენჯი, საწნელო ხე ხვილიფში ამოსული. იმერ.

სანეხველა, სადაც ნეხვი იყრება, კვალი 1900 წ. № 21.

ფ

ფუნთხლი, ჯანყი, ბურუსი. ფუნთხლიანი დღეაო, იტყვიან. იმერ.

ფიტონი, ოთახში დატანებული რისამე საწყობად. კვალი. 1900 წ. № 21.

ფოხლია, გაუმაძღარი. იმერ.

ფაზარი..., აგრეთვე გაქვავებული გველია. დასუნულის წამლად იხმარება წყალში გალესილი, იმერ.

ფაზარ-ხვითო... იმერ.

ღ

ღვითო, ზოგჯერ რომ ხარს კვნესას დააწყებინებს აღმართში ასვლისას. ლეჩხ.

ყ

ყვინთვა, ჩაყურყუმელავება; თვლემა თავის ჩაკვრითა. იმერ.

შ

შხუმფლვა, თქორვა, წვრილი წვიმა. იმერ.

შილიფი... შილიფად გავლა—ჩაუცმელად გავლა, რომ აკლდეს კიდევ რამე. შილიფად გაიარა და გაცივდაო, იტყვიან. იმერ.

შესახლიკაცება, სახლი კაცად გახდომა.

ძ

ძალ-ცემა.. ძალ-სცემდა ხმითა საზარელითა ქც̃ხ. ნ. I.

ჭ

ჭიპი.. ჭიპის მოწყვეტა, დაქინება. იმერ.

ხ

ხუშტარა, მოგრძო შალაშინი იმერ.

ხვილიფი, ადგილი, სადაც წყლის ნალექზედ ამოსულა საწნელო ხე ტირიფი, თხმელა, სკვილენჯი და სხ. იმერ.

ხაზირი, მზადება, განკარგულება. იმერ.

ხალხი... მილეთის ხალხი ე. ი. აუარებელი.

ხვითო, ნატრის თვალი, იტყვიან ვითომც მამალი დასდებდეს, აგრეთვე შემოჩვეული გველი პირიდამ გამოიღებდეს, ათამაშებდეს და მერმე ჩააგდებდეს რძეში, რომელსაც დაუდგამს ხოლმე ერთი ვინმე სახლობის წევრთაგანი ფარულად.

პეტრე მირიანაშვილი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, 20 ივნისს, ამა 1900 წელს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება ხელ-ახლად

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც გაიცემა იჯარით მე-9 ნაწილში არსებულ ქალაქის სასწორებზედ გადასახადის მოკრეფის საქმე. პირობები მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, 8-დგან 1 საათამდე.

(3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, ამა წლის 12 ივნისს ნაშუადღევის 12 საათზედ მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა იმ ნავის, ქვისა და მიწის გაზიდვის საქმე, რომელიც ციციანოვის კლდის ჩამონგრევის დროს შეიკრიბა. იჯარა სულ 100 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ ქალაქის განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, 9 დგან 3 საათამდე.

(2—6.—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Іюня 1900 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე